ფასი 500.000 მან. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

განათლების ფოცხე

Академия наук Грузинской ССР Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

ქუთაისის სამაზრო განათლების განყოფილების
ყოველ ოთხშაბათს გამოდის პედაგოგიური ჟურნალი

№ 5 | 2 ნოემბერს 1923 წ. | რედაქციის მისამართი: ქ. ქუთაისი, განათლების განყოფილება | № 5

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ახალი სამოსწავლო წლისათვის—თ. ჭუმბურიძე.
2. ესთეტიური აღზრდა.—ტრ. ჯაფარიძე.
3. ნიადაგის ანალიზი—ანტ. სულამანიძე.
4. იმავე მნიშვნელოვან საკითხის გამო ა. ბახტაძე.
5. ქუთაისის და მისი მაზრის სასკოლო სანიტარულ ექიმების 4 თვის მოქმედების ანგარიში—ექ. ევს. ლოსაევრიძე.
6. უქიმერიონის ციხის მოწესრიგების შესახებ—ანთ. გორგაძე.
7. ზოგადი დიდაქტიკა—ნ. ქუთათელაძე.
8. მთავრობის განკარგულება № 26.
9. ფელეტონი: საშკოლო თვითმართველობა—ნ. კრუპსკაია, —თარგ. ფ. შავგულიძისა.

ახალი სამოსწავლო წლისათვის.

ახალი სამოსწავლო წელი უკვე დაიწყო. ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელიც ჩვენი საზოგადოების ფართო წრეებში გამოისახა ამ უკანასკნელ ხანებში სახალხო განათლების საქმისადმი დამოკიდებულებაში, უმთავრესათ ამ კეთილშობლურ ასპარეზზე მოღვაწეობის სურვილით, აშკარა მაჩვენებელია იმ ფაკტისა, რომ ახლო წარსულში ჩვენს საზოგადოებაში დაბადებული ინდიფერენტიზმი და თითქმის უარყოფითი დამოკიდებულება შკოლისადმი მოისპო, რომ თვით ფართო მასა განსაკუთრებული სურვილით ჩაება სახალხო განათლების გასაძლიერებლათ, ახალი შკოლის მკვიდრ საფუძველზე დასაყრდნობათ წარმოებულ მუშაობაში. მხოლოდ ასეთ საზოგადოებრივ ატმოსფერაშია შესაძლებელი ნაყოფიერი მუშაობა ამ დიდ და საპასუხისმგებლო ასპარეზზე. ამ მხრით ახალი სამოსწავლო წელი უკეთეს პირობებშია ჩაყენებული. იგი გარს შე-
[illegible]ქმული იქნება ჩვენი საზოგადოების ფარ-
[illegible]ძიანელი ორ-
განოები როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი, შესაფერათ გამოიყენებენ ჩვენს საზოგადოებაში საშკოლო საქმისადმი წარმოშობილ ენტუზიაზმს.

ჩვენში ეს სამი წელია ლაპარაკი და იდა არის ახალი შკოლის შესაქმნელათ მიმართული. მაგრამ რომ შკოლა ახალ პრინციპებზე აგებულიყო, რომ ჩვენს შკოლებში პრაკტიკულათ განხორციელებულიყო საუკეთესო პედაგოგიური იდეალები, ამისთვის შესაფერი ნაბიჯები მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გადაიდგა. ჩვენი მასწავლებლობის ფართო მასა, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ახალი შკოლის შექმნა, თითქმის სრულიად არ იყო გაცნობილი ამ ახალ შკოლის მთავარ პრინციპებს და არც შეეძლო მისი სინამდვილეში განხორციელება. ამ ზაფხულზე მოწყობილმა თუმცა მოკლე ვადიანმა, მაგრამ ძლიერ ნაყოფიერმა მასწავლებელთა გადასამზადებელმა კურსებმა ამ მხრით დიდი როლი შეასრულა. ჩვენი პროვინციის მასწავლებლებს, რომლის უმრავლესობას შეიძლება სრულიად არ გაუგონია ფრებელის, მონტესორის, კერ-



...ოის და სხვ. სახელები და, ...თ პედაგოგიურ სისტემებსაც ...ვალება მიეცათ მათი გაცნო- ...წელობისა და ღირებულების ...ან-დაწონისა; მათ საშვალე- ...თ ერთგვარი სახელმძღვანე- ...ახალი შკოლისა, რომლის ...ზე დამოუკიდებლათ შესძლე- ...ბით მუშაობას და თავისთა- ...ელი შკოლის სარბიელზე ნა- ...სათვის.

...ე დარწმუნებული ვართ, რომ ...იბა საესებით შეიგნებს იმ ...ას, რომელიც მას დააკისრა თანამედროვე მომენტმა ახალი კულტურის შექმნის საქმეში, თავის დანიშნულებას სერიოზული თვალით შეხედავს და **შკოლასთან მარტო მატერიალური ინტერესებით არ იქნება დაკავშირებული**. სახალხო მასწავლებელი წარსულში, თვით უკიდურეს მატერიალურ პირობებშიც კი, თავის მოწოდების სიმაღლეზე რჩებოდა და თავისი სუსტი ბეჭებით ხიდავდა ხალხის გამოფხიზლებისა და მისი უმეცრების სიბნელიდან განთავისუფლების მძიმე ჯვარს.

ეს თავდადებული და უანგარო მუშაობა დღეს გაასკეცებული ენერგიით უნდა სწარმოებდეს.

მასწავლებელი ჩვენ დროში სავსებით უნდა განთავისუფლდეს ძველი ჩინოვნიკური ტრადიციებისგან და ფართო საზოგადოებრივი მსოფლმხედველობით შეიარაღებული ეწეოდეს მძიმე და საპასუხისმგებლო მუშაობას ახალ პედაგოგიურ ასპარეზზე.

განსაკუთრებულია მოვალეობა ჩვენს სოფლებში მომუშავე, პროვინციის მასწავლებლობისა, რომელთაც სიბნელისა და უმეცრების ატმოსფერა გარს არტყიათ. სწორეთ აქ სჭირდება განსაკუთრებული უნარი ჩვენს დარგში მოღვაწეს, რომ სწავლა—ცოდნის სიყვარული მთელი თავის სიძლიერით აღძრას ჩვენს საუკუნოებით სიბნელეში მყოფ ხალხში, მივარდნილ უკულტურო კუთხეებში. საერთოთ პროვინციებში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ შკოლის ხელმძღვანელებს—გამგეებს. აქ მთლათ ერთიანათ მათ პირად ინიციატივაზე, მათ უნარზე და შემოქმედებით ძალაზეა დამოკიდებული სწავლა-განათლების და შკოლის ბედიღბალი. ამ მხრით მათ დიდი მუშაობა

სასკოლო თვითმართველობა*)

ნ. კრუპსკაია

თარგმანი.

თავისუფალი აღზრდის მომხრენი უარყოფენ ყოველგვარ დისციპლინას სკოლაში რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მეტია ლაპარაკი განსაზღვრულ ზომებზედაც. და ეს მხარე უკუგდონ თავისუფალ აღზრდის მომხრეებმა, მაგრამ მათ არ შეუძლიანთ არ მიესალმონ თვითმართველობის პრინციპს, რომელსაც სარჩულათ უდევს სურვილი მოსწავლეთა ორგანიზაციული შეკავშირებისა სასკოლო ცხოვრების საუკეთესოდ მოწყობის მიზნით. მოსწავლეთა ორგანიზაცია არ არის საჭირო მაინც და მაინც ურჩი შეგირდის დასჯისთვის: უფრო მნიშვნელოვანია მისი ამოცანა;—განავითაროს შეგირდებში თანამშრომლობის, ურთიერთ დახმარების უნარი სწავლის მიღების პროცესში. არჩევნებითი წესი მხოლოდ საბაბს იძლევა ამ მხრივ ბავშების თვითმოქმედების ასამუშავებლათ. და რა განუზომელი ღირებულებისა არის ამ მიზნით თვითმოქმედების წარმართვა! რა უღრმესი მნიშვნელობა აქვს და რა სასურველ კალაპოტში მიმართავს ხოლმე ბავშის საზოგადო ცხოვრების ინსტიქტებს!

ყოველგვარი საზოგადოებრივი მოღვაწეობა მოითხოვს ერთგვარ მიჩვევას, უნარს; უნარს იმისას, თუ როგორ საუკეთესოდ შეიძლება მოვაწყოთ ურთიერთშორის შეკავშირება და თანამშრომლობა. ადამიანს შეიძლება ექნეს შრომის სურვილი, იყოს კეთილი მისწრაფებით აღჭურვილი, მაგრამ ვერავითარ ნაყოფიერს მოიმოქმედებს, თუ კი მას არ ექნება ერთგვარი საზოგადოებრივი ზნე-ალღოს აღების, ხალხის ცოდნისა და ცნობის ნიჭი. ასეთ ზნეს, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა საზოგადოებრივი ვითარება ქმნის, მაგრამ სკოლასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ გარემოებას ყველგან და განსაკუთრებით რუსეთში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. თუ მართალია, რომ სკოლამ ბავშს ინიციატივა—თვითმოქმედება უნდა განუვითაროს—უკანასკნელი (ე. ი. განვითარება) ყოველ მხრივი უნდა იყოს, საჭიროა იგი ორგანიზაციის საქმეში გამოსჭვიოდეს და სკოლაში ისეთი პირობები უნდა შეიქმნათ, რომ ეს განვითარება მიზანშეწონილად მიმდინარეობდეს.

*) დასასრული. იხ. „განათ. მ.“ № 4.

ეჭვირებათ, რომ სწავლა-განათლების სიყვარული ჩაუნერგონ ხალხს და ახალი შკოლის იდეას პოპულიარიზაცია უყონ ფართო მასაში. წარსულ წელი კი ამ მხრით პროვინციის ზოგიერთი მასწავლებელი და გამგე თავის მოწოდების სიმაღლეზე არ იდგენ, რაიც გამოარკვია პროვინციის შკოლების დათვალიერება—რევიზიამ. ასეთი გამგეები და მასწავლებლები, რომლებიც უმთავრესათ თავისი პირადი საქმეების მოწესრიგებას ანდომებენ უმთავრეს დროს, თავისი ყანა-ბოსტნების მოვლა-დამუშავება უფრო აინტერესებდათ, ვიდრე შკოლისა და სწავლა-განათლების საქმის შესაფერ დონეზე დაყენება, სცემდენ პედაგოგიური, საშკოლო. საქმის პრესტიჟს ჩვენს გლეხობაში და მათში სწავლა-განათლებისადმი უარყოფითი განწყობილების დამკვიდრებას უფრო უწყობდენ ხელს. ასეთი მოვლენა ძირიან-ფესვიანათ უნდა აღმოიფხვრას და ის გამგე და მასწავლებელი, რომელიც ასე ასრულებს თავის მოვალეობას, ჩვენ დიდ საქმესთან, რომელიც განსაკუთრებულ ენერგიულ მუშაობას მოითხოვს, ინდიფერენტულათ არის განწყობილი და ჩვენთან მარტო მატერიალური მხარე აკავშირებს, დაუყონებლივ განდევნილი უნდა იქნეს სახალხო განათლების ასპარეზიდან, რადგან ეს დარგი საქველმოქმედო დაწესებულება არ არის და ნურც ვინმე შეხედავს ამ თვალით მას. ეს გარემოება კარგათ უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა განათლების მუშაკებმა, განსაკუთრებით პროვინციის გამგე—მასწავლებლებმა, აგრეთვე მათ ვინც ახლად შემოდის ჩვენს ასპარეზზე სამუშაოთ, და მომავალ სამოსწავლო წელს შეუდგენ გაწსაკუთრებული ენერგიით, ხალისითა და საქმის სიყვარულით.

ჩვენი ახალი შკოლა გაჟღენთილი უნდა იყოს კლასობრივი ალმოსფერით. ჩვენ არ ვფარავთ, პირიქით საქვეყნოთ ვაღიარებთ, რომ ჩვენი ახალი შკოლა კლასობრივ პრინციპზე უნდა იქნეს აგებული და იგი უნდა ემსახურებოდეს იმ კლასის ინტერესებს, რომელიც დღეს ძალა-უფლების სათავეში დგას და იბრძვის კაცობრიობის საბოლოო განთავისუფლებისა და ბრწყინვალე მომავლის დასამყარებლათ.

ძველი შკოლის ბურჟუაზიულ-კლასობრივ სახეს ფარავდენ და მას თითქოს სახალხო შკოლათ ასაღებდენ; ნამდვილად კი იგი ემსახურებოდა იმდროინდელი გაბატონებული კლასის

ამ შემთხვევაში სასკოლო თვითმართველობას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. მისი შემწეობით შეიძლება საზოგადო მოღვაწეობისათვის აღზრდა.

სასკოლო ცხოვრების პრაქტიკაში საჭიროა აგრეთვე მოწაფეთა კონფერენციების მოწვევა. ასეთი კონფერენციები ხშირად უნდა ეწყობოდეს. აირჩევენ თავჯდომარეს, მდივანს, არჩევენ საქმეებს, იხილავენ საკითხებს, მსჯელობენ, კამათობენ, ერთი სიტყვით როგორც ამერიკის სკოლებშია, მხოლოდ გასარჩევ საკითხების განსხვავებით. ბავშებმა უნდა განიხილონ არა ის, თუ „ქუჩაში როგორ გაიარონ“, „სეირნობა როგორ ჩაატარონ“, არამედ ის, თუ როგორ დაეხმარონ სწავლაში ჩამორჩენილ ამხანაგებს, როგორ გამოცენ სასკოლო ჟურნალი, როგორია საუკეთესო წესი მათ შორის შრომის განაწილებისა და სხვა. შემდეგ: მიეცემა ამხანაგებს დავალება სხვა და სხვა ხასიათისა, რომელსაც ისინი ემორჩილებიან. საქმის შესრულება და შესრულების სიკარგე, თუ სიცუდე საერთოდ ირჩევა. ყველაფერს ამას აქვს მნიშვნელობა იმისათვის, რომ მოწაფეში გამომუშავდეს მტკიცე ხასიათი, თვითდაკვირვება, დინჯი და სინდისიერი შესრულება საქმისა და სხვ. იგულისხმება, რომ ასეთი დაწესებულება უფრო თვით ორგანიზაცია არის, ვიდრე თვითმართველობა; მაგრამ საქმე სახელწოდებაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ბავშებს მივცეთ საშუალება განავითაროს თავის წრეში საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეულებები, მიზიდულობა ორგანიზაციულ მოწყობილ თანამშრომლობისადმი თავიანთ შორის სამუშაოს წესიერად განაწილებით. უნდა ითქვას მართალი, რომ აქამდე სასკოლო თვითმართველობის მიზანი მასწავლებლის დანავალების შესრულება იყო, მხოლოდ ზოგიერთვან ამას ემატებოდა სხვა ფუნქციები, ორგანიზაციები, მაგალითად: „სისუფთავის მოყურიადე შრომას უმსუბუქებს მასწავლებელს, იგი თვალს ადევნებს, რომ ყოველი შეგირდი გამოცხადდეს სკოლაში სუფთად ჩაცმული, თმა დავარცხნილი, „თხუპნას“ იგი აძლევს საპონს და აგზავნის დასაბანათ. იმასვე ევალება დაფისა, მინებისა და პარტების დაწმენდა, ჩვარისა და ცარცის მომარაგება, ფანჯრების ღიღება დასვენების დროს, მელნის განაწილება და სხვა. გაკვეთილების მოყურიადე, ყოველთვის, გაკვეთილების გათავებისას გაახსენებს ხოლმე ამხანაგებს რომელი გაკვეთილი უნდა მოამზადონ, არჩევს საჭირო ნივთებსა და რვეულებს სახლში გასატანებლათ; მოსწავლეებს, რომლებსაც ეძნელებათ ლექსის ზეპირად დასწავლა, ნაწილ-ნაწილ (ცოტ-ცოტას) შეასწავლის ხოლმე გაკვეთილის დამზადების მოყურიადე, კითხვას რა მათ ყოველ დღე დილით. (ეს წესი თვით მოსწავლეებმა შემოი-

ინტერესებს. ჩვენ შკოლაში უნდა აღიზარდოს მომავალი დიდი კომუნისტური საზოგადოების ნამდვილი წევრი. ამიტომ ძველი შკოლის ნაშთები სავსებით უნდა აღმოიფხვრას, ძველი სული უნდა გაიდევნოს შკოლიდან. ეს დაბრკოლება ახლისაკენ ჯერ კიდევ არ არის დაძლეული და სწორეთ ამ დაბრკოლების დაძლევის მტკიცე გადაწყვეტილებით უნდა შესდგას მასწავლებელმა ფეხი შკოლაში ახალი სამოსწავლო წლისათვის. მხოლოდ ასეთ განათლების მუშაკებს ექნებათ ჩვენს დარგში მოპოებული საპატიო ადგილი.

თ. ჯუმბურიძე.

ესთეტიური აღზრდა.

3.

ბავში რომ ესთეტიურად აღიზარდოს, ამისათვის საჭიროა იგი საზრდოობდეს ესთეტიური ატმოსფერით და ხელოვნების ყოველი დარგით. საჭიროა ნათლად წარმოვიდგინოთ რა მდგომაროებაშია ამ მხრივ ჩვენი—ქართველი ბავში. ამ კითხვაზე რომ გადაჭრილი პასუხი მივცეთ, საჭიროა უფრო გარკვეყით შევიგნოთ რა გვქონია წინათ დადებით და უარყოფით, რა უნდა შევირჩინოთ და რა უნდა გავასწოროთ.

სანამდი დღევანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებდეთ, ზედმეტი არ იქნება თვალი გადავავლოთ ისტორიულ წარსულს და აღვნიშნოთ როგორი ტრადიცია გვაქვს ჩვენ ესთეტიურ დარგში, რადგან აღზრდას მჭიდრო კავშირი აქვს ეროვნულ სულისთქმასთან, რაც ერის ტრადიციებშია ჩაწნული და ჩაქსოვილი.

საერთოდ საქართველოში, ჩვენი ერის ისტორიაში რომ ესთეტიური განვითარება ყოფილა ეს დამტკიცებულად უნდა ჩავთვალოთ, ამის უტყუარ და ცხადათ მოლაპარაკე საბუთებს გვაძლევს ისტორია ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებით.

ქართული ხუროთ მოძღვრება, მუსიკა, კალიგრაფია, მხატვრობა, ლიტერატურა, ოსტატ-ხელობა,—ჩვენში მაღალ წერტილზე ყოფილა მიყვანილი. ყოველი დარგის ნიმუშებს

ღეს). ამ რიგად სუსტ შეგირდს ეძლევა საგრძნობი დახმარება ამხანაგებთან, რომლებსაც იგი უკვე აღარ ჩამორჩება საგნებში. თამაშობას მოყურიადე ზრუნავს იმაზე, რომ თამაშობის არავინ დააკლდეს; ქალებს ხშირად ემჩნევა მიდრეკილება ცალკე თამაშობისა, განცალკევება არ უნდა იყოს. ვაჟები ხშირად იჩენენ უხეშობას თამაშობის დროს. მგრძნობიარე შეგირდი, თუ კი რაიმე არ მოეწონა, იმ წამსვე მუშტებს აამუშავებს. ამის მოსასპობათ ქადაგება კლასში ზედმეტია, ნაკლებ მნიშვნელოვანია დასჯაც, მაგრამ თუ კი ჩხუბის დროს აღმოჩდება ერთი მაინც, რომელიც თანაგრძნობით არ შეხედავს მოსწავლეთა შორის ატეხილ დავას —ესეც ბევრის მაჩვენებელია! თამაშობის მოყურიადემა (და მისმა თანაშემწემ) უნდა უგდონ ყური აგრეთვე იმას, რომ ბავშები თამაშობის დროს ერთმანეთს ტანსაცმელში არ სწვდებოდენ. ჩვენ გვაქვს წესი: თამაშობის დროს ის არ არის დაჭერილი, ვისაც ტანსაცმელზე უტაცეს ხელი. როგორ გაიხარებდენ მშობლები, რომ შვილები სახლში დაფლეთილი ტანსაცმლით არ ბრუნდებოდენ! ეს, რასაკვირველია წვრილმანია, მაგრამ ასეთ დაშლას ღრმა აზრი აქვს. რამდენი თავდაჭერილობაა მოთამაშე ბავშის მხრივ საჭირო, რომ ხელი არ მოავლოს გაქცეულ ამხანაგის გაფრიალებულ კალთებს, როდესაც ეს ასე ადვილი საქმეა თითქოს?! ვინც ამდენ ხასიათის სიმტკიცეს გამოიჩენს,—ალბად ის სხვა ბევრ რამეს საჭიროს და მნიშვნელოვანს შეიძენს ხოლმე. დაბოლოს გვყავს მცენარეების გამგეც (გერბარი). ყოველ ზაფხულს ვაგროვებთ სხვა და სხვა მცენარეებს, მათ ნაწილებს, ყვავილებს, ფოთლებს. ზაფხულის განმავლობაში ესენი კარგად გახმება. სამუშაო დიდ შრომას მოითხოვს; გამგე მას მარტო ვერ შეასრულებს. მან უნდა იშოვოს თანაშემწე. ესენი ეზიდებიან მცენარეებს, დანარჩენებმა გულმოდგინეთ უნდა დაათვალიერონ პრესის ქვეშ დაწყობილი მცენარეები, **გადაატრიალონ**, სანამ კარგად არ გახმებიან და დაიმტკიცებიან. ამას თან მოყვება სახვევში გამზადება და ზედ წარწერა. (Ch. n. Sih.)

ამრიგად სასკოლო თვითმართველობაში, ადმინისტრატიულ საქმეებთან ერთად სრულდება ისეთ ფუნქციები, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ, ან და სავსებით არ ატარებენ საპოლიციო-ადმინისტრატიულ ხასიათს. აი ამ ფუნქციების ფართო განვითარებას უნდა მიექცეს ყურადღება თავისუფალი აღზრდის მომხრეთაგან მათ მიერ სასკოლო თვითმართველობის შემოღებისას.

ფ. შავგულიძე.

ჩვენში აზის გარდა მაღალი აზროვნებისა, მუყაითი, საფუძვლიანი ხელობისა, და დაუზარელი ენერგისა, ესთეტიური გემოვნებისა და მაღალი, ნაზი, წმინდა გრძნობების ბეჭედი. ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის, ამიტომ რომ ჩვენზე უფრო მჭერმეტყველთა ილაპარაკებენ თვითონ ის ნაშთები, რომელნიც ჩვენს მუზეუმებსა და ბიბლიოთეკაშია მოთავსებული, საჭიროა მხოლოდ საღი სმენა და მხედველობა რომ დღევანდელმა ქართველმა მათი ლაპარაკი გაიგონოს, მშვენიერება დაინახოს და გემოვნება განიცადოს....

აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ქართველი ერი ძველათ ცნობილი იყო ხასიათის სიმტკიცით, გმირობით, პატიოსნებით და ყოველივე ეს გულისხმობს ესთეტიური განვითარების სიმაღლესაც. რა არის თავაზიანობა, შნო და ლაზათი, თუ არა ესთეტიური გემოვნება? ქართველთა წესი ზეიმში, ომში; ქართველთა პირიანობა მოლაპარაკებაში, დაპირებაში, მეგობრობაში; (ულვაში—თამასუქის მაგიერი იყოო); ორ მაჩხუბარს თუ კი ქალის რიდე (მოსახურავი)მიეკარებოდა—ეს ნიშანიც კი გაჩერებდაო. ავიღოთ ქალის პიროვნების დაფასება, ქალის მონაწილეობა მოლაპარაკებაში, საერთო საქმეში. მივაქციოთ ყურადღება მიწერ მოწერის ადათს, კილოს, მიმართავს. ყოველივე დაგვარწმუნებს, რომ შეფერების, ლაზათისა და შნოიანობის პრინციპი ცხოვრებაში გატარებული ყოფილა და მოქალაქის ყოფაქცევა წემთხვევითი ხასიათისა კი არ ყოფილა, დამოკიდებულება ჰქონია ერთგვარ შემუშავებულ, დამდგარ, მოსაწონ, მიღებულ წესთან.

მართალია, წარსული დროს საქართველოს ცხოვრებისა ბევრ დადებით მაგალითებს ვხვდებით ესთეტიური აღზრდის სფეროში, მაგრამ ბოლო საუკუნე, როცა საქართველო მხოლოდ გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობა იყო, ტერიტორია ქართული იყო და ცხოვრების ელფერი არა ქართული, აღზრდაც შეცვლილი იყო, და როგორც სხვა მხრივ ისე ესთეტიური მხრითაც დაკოჭლებული იყო. დღევანდელი შკოლა ქართული შკოლა არაა, მას ბევრი ნაკლი აქვს და აი სწორეთ დღეს თანდათან გასწორდება ყოველივე და შემდეგ ვიხილავთ ესთეტიურად მოწყობილ შკოლას, სადაც სულ სხვა ატმოსფერა იქნება.

ჩვენ ყველანი არა ესთეტიური შკოლის შვილები ვართ და ჩვენი ბავშებიც ჯერჯერობით არა ესთეტიურ სფეროში იზრდებიან.

ავიღოთ **ოჯახი.** სად არის ისეთი ოჯახი ქალაქში და უმეტესად სოფელში, რომ სახლის შენობა, ბინა, შიგნი მოწყობილობა—ესთეტიური იყოს? ხელოვნების დარგის ნიმუშები: სურათები, მუსიკა, ქანდაკება, ან სულ არ არის ოჯახებში ან უვარგისია, ან თუ არის ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. სოფლის ბავში—ქალაქის ოჯახის სფეროს ვერ იცნობს, ქალაქის ბავში სოფლისას, მაშინ როდესაც ბავშის ოცნებისა და განსახებისათვის ოჯახური სფერო დიდ ესთეტიურ მასალას შეიცავს. ქალაქში მცხოვრებ მოზარდი მოწაფეს არ უნახავს გარეული კურდღელი,*) არ უყურებია ხვნა თესვა, წარმოდგენა არა აქვს პურის ლეწვასა და სთველზე.... სოფლის მოზრდილ მოწაფეს არ უნახავს კედლის საათი, ჩამოკიდებული ლამპა, ეტლი და სხვა ასეთები.... განა ამ სფეროს სივისწროვეს ცოტა მნიშვნელობა აქვს ესთეტიური განვითარებისათვის?

გარდა გარეგნობისა ოჯახში ფრიად მნიშვნელოვანია მშობლებისა და აღმზდელების მოქცევა. ამ მხრივაც უნდა ვსთქვათ, რომ უმეტეს შემთხვევაში ასეთი მაგალითები შეგხვდებათ: ან მოქცევა არის სასტიკი, მშრალი, გულცივი, ან წრეგადასული მოფერება, ხელშეშვება და განცბიერება—ხშირად ლახვა, ცუდი სიტყვებით მიმართვა და სხვა—ყოველ შემთხვევაში მოქცევა არა ესთეტიური.

სიმართლე რომ ვსთქვათ ჩვენი ბავშები ოჯახში სილამაზეს, ლაზათს, შნოს, სიმმეტრია—ჰარმონიას მოკლებული არიან.

ავიღოთ **შკოლა.** შკოლის შენობა, მოწყობილობა, წესწყობილება და მთელი ატმოსფერა ქალაქშიდაც შეუფერებელი და არა დამაკმაყოფილებელია და სოფელში ხომ სულ უკიდურესია. არც ოთახებში, არც აივანებში, არც მაგიდებსა და დაფებში სიმმეტრია დაცული არ არის. სისუფთავე ცოტაა, დისციპლინა გარეგნული, მშრალი, გარეგნობაზე დამყარებული. უარყოფითი მაგალითებით არ მინდა შეგაწუხო მკითხველო, რადგან თქვენც ბევრი გეცოდინებათ....

მივაქცევ თქვენს ყურადღებას ერთ ჯერ

*) პეტროგრადის გიმნაზიის მესამე კლასში ჰკითხეს მოწაფეს თურმე „ვის გინახავს გარეული კურდღელიო“? ერთის აუწევია ხელი და რომ უკითხავსთ, სად გინახავსო, უპასუხნია,—მეხორცეს ეკიდა ჩანგალზეო. ამასაც კურდღელი ჰქვია არა? ასე იცნობს ზოგიერთი ქალაქის მოწაფე ხილსაც,—გობზე უნახავს დამჭკნარი....

კიდევ მოუსპობელ საშუალებას. მოწაფე რომ დამნაშავობას ჩაიდენს კორპორაციის წევრის წინაშე—ჩვეულებაა, მას საბჭო სხვათა შორის გადაუწყვეტს ბოდიშის მოხდას, რასაც შეასრულებინებენ.... დღემდი შეგნებული არ არის, რომ ძალით ბოდიშის მოხდა არ შეიძლება... ბოდიშს აქვს მორალური მნიშვნელობა და ესთეტიურადაც მისაღებია, როცა დამნაშავე **თვითშეგებით, თავისუფლად, თვითონ, ძალადაუტანებლად**, აღიარებს თავის შეცდომას. ასეთი ბოდიში იმასაც იამებს (დააკმაყოფილებს) ვის წინაშეც იხდიან. ნაკარნახევი ბოდიში, საბჭოსაგან დადაწყვეტილი და ისიც ულტიმატუმის სახით—თუ არ მოიხადოს—დავითხოვოთო—შეიცავს გაუგებრობას, შეუგნებლობას, ფარისეველობას, და ესთეტიურად სრულ უმზგავსობას. სხვათაშორის ეს ძლიერ ამცირებს იმ პირსაც, ვის წინაშეც დამნაშავე ბოდიშს იხდის. ვერ გამიგია ის რა დაკმაყოფილებას ღებულობს ან დამნაშავე პირის აღზრდას რა ემატება? ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ზოგერთი მასწავლებელი თავისი მოქცევით კი არ აღვიძებს და ანვითარებს ბავშის ესთეტიურ მიდრეკილებას, პირიქით სპობს და აჭარწყლებს.

ყოველი ნაკლი მასწავლებლისა: უვიცობა, უტაქტობა, სიფიცხე, გაუთლელობა და სხვა აქ შეერთებულათ უარყოფითად მოქმედებს ბავშზე და მას სილამაზისადმი მიდრეკილების მაგიერ უხეში, მკაცრი, უადგილო, უწესო მაგალითები ესახება და ძალაუნებურად ისიც ასეთ მოქმედებას ეჩვევა.

ავიღოთ **საზოგადოება**. სამწუხაროდ არც საზოგადოებაში ექცევა დიდი ყურადღება ესთეტიურ მხარეს. საზოგადოებაში ვხედავთ სხვადასხვა გასართობებს: თეატრებს*), სინემატოგრაფს, ცირკს.... თეატრში და სინემატოგრაფში ძალიან ცოტა რამ არის ესთეტიური. ღარიბი სცენა, მოუმზადებელი მსახიობები, უშინაარსო პიესა, უდისციპლინო მაყურებელი, რომელთა შორის ზოგი შეზალხოშებული, ზოგი გამოუძინებელი, ბადიანათ ამთქნარებენ, თავჩაკირწული ყვინთავენ, ზოგი გადამეტებულათ მხიარული—თავისუფალი—ნაცნობთან მუსაიფით, ხუმრობით ერთობა—ვერაფერ შთაბეჭდილებას ახდენს. ხშირად ჩვენში ანტრაკტის დაწყებასა და გათავებას ვერ შეამჩნევთ, ზოგისთვის სულ ანტრაკტია... თუ ამას დაუმატებთ ქანდარაზე გამეფებულ „თავისუფლებას“, დამეთანხმებით რომ ჩვენს თეატრში ესთეტიკა წამებულია. იქიდან ესთეტიურს ბევრს ვერას გამოიტანთ...

ჩვენში ხშირია ზეიმი, ქეიფობა, წვეულობა. რა არის აქ ესთეტიური? ვფიქრობ არაფერი. ზომაზე მეტი სმა, ხმებშეუწყობელი სიმღერა, რაღაც ნაძალადევი, დაობა და ქაქანი... ჭურჭლის რახარუხი, ხმა აწეული და მაგარი სიტყვებით მუქარა და შეტაკება, ხშირად იარაღის ტრიალი და სამწუხარო შედეგი. განა ცოტაა ისეთი ქეიფი, რომელიც სიამოვნებით, სიმღერით იწყება და ბოლოს მკვლელობით თავდება? განა სრული გარანტია გაქვს, რომ ჩვენებურ ქეიფში ან არავინ გაწყენინებს ან არ გაგლახავს ან არ მოგკლავს, ან არ შეგაწუხებს რაიმე მოთხოვნით და თუ შენ არ შეიქენი მომჩივანი ან მოპასუხე—მოწმეთ მაინც არ შეგახვდერებენ სასამართლოში ან სამედიატორო სამართალში ყოფნას? ზეიმიდან განა ყველა სახლში ბრუნდება? განა სატუსაღოსკენ არავინ მიდის?—სადაც ყოველივე ასეთი ხდება—იქ ესთეტიური იქნება რამ? ვფიქრობ არაფერი.

დღევანდელ მაჩხუბრებს განა ის გააზავებს ქალის რიდე რომ შეეხოს? პირიქით მაზარბლათ მისულიც გაილახება. ქალის რიდეს კი არა თვითონ ქალს განა არ მოელის ცემატყეპა? დღეს ქალის კულტი ესთეტიური მოვლენა აღარაა, ქალსაც მამაკაცივით ეპყრობიან. შეიძლება მიტომ რომ დამახინჯებულათ გაიგეს ქალთა ემანსიპაციის საკითხი?! დღევანდელი ვალდებულობის ნიშნათ იკმარებს ულვაშში გამოღებული თმის ღერის მიღება? ერთი ღერი თმა კი არა მთელი თმა და წვერ-ულვაშიც რომ დაგიტოვოს ზოგიერთმა—სიტყვას მაინც არ აგისრულებს და აქ არაფერს არა ესთეტიურს არ ხედავს ის. დიახ, როცა ეგოიზმით, და ფორმალიზმით გაიჟღენთება ადამიანი—მისთვის ესთეტიური აღარ არსებობს, მას სიფაქიზე, სინაზე აღარ იზიდავს, ის ძირს იხედება და მაღლა ახედვის უნარი დაკარგული აქვს. ის უკვე ძალას ემორჩილება და არა იდეას.

უკანასკნელ საუკუნეში ოჯახშიდაც, სკოლაშიდაც და საზოგადოებაშიდაც ესთეტიური მხარე შელახული იყო, ეს დაეტყო ჩვენ თაობას: მისი ზნე-ჩვეულება, ყოფაქცევა, მსოფლ-

*) საზოგადოებაში ითვლება გასართობ დაწესებულებად, თორემ მე პირადათ ასე არ მიმაჩნია.. ხელოვნების ტაძარი გასართობი არ არის...

ავტორი.

მხედველობა ესთეტიურ ელემენტს არ შეიცავდა, ასეთ ატმოსფერაში ავიზარდეთ, მაგრამ ეს უნდა გავასწოროთ, უნდა გარდვიქმნათ და ახალი შკოლით ახალი თაობაც უნდა შევქმნათ. თუ დღემდი ეს არ ხერხდებოდა, დღეს უნდა მოხერხდეს, დღეს ახალ შკოლას, ახალი პროგრამით და ახალი ორგანიზაციით უნდა მიეცეს ის ძალა და მიმზიდველი თვისება, რომ სხვა ახალ მიმდინარეობასა და ახალ შემოქმედებასთან მაღალი ესთეტიური აღზრდის ელფერიც იქონიოს და საზოგადოებას ნამდვილი ადამიანები აღუზარდოს.

ახალ სისტემაზე აგებული მაღალი შკოლა გარდაქმნის ოჯახსაც და საზოგადოებასაც. გონიერი პრინციპი ძველი წარსულიდანაც **მარტო კარგს** ამოიღებს და ახალი ცხოვრებიდანაც **მარტო კარგს** გააძლიერებს.

(გაგრძელება შემდეგ)

ტრიფონ ჯაფარიძე.

ნიადაგის ანალიზი.

მოწაფეებს შეუძლიათ აგრეთვე შეადგინონ სხვადასხვა გვარი ნიადაგის კრებნარები (იხ. „განათლების მოამბის“ № 3).

მაგრამ ამა თუ იმ ადგილის ნიადაგების ნიმუშების შეკრება მარტო არ კმარა; ამასთანავე საჭიროა ვიცოდეთ ნიადაგის შემადგენელი ნაწილების რაოდენობის გამოანგარიშება. ეს ნაწილებია შემდეგი: თიხა, სილა, დამპალა და მინერალური მარილები. ნიადაგის შემადგენელი ნაწილების რაოდენობის გაგებას რაოდენობითი ანალიზი ეწოდება. ნიადაგის რაოდენობითი ანალიზი ორნაირია: სწორი და უბრალო, დაახლოებითი. სწორი ანალიზი გამოიხატება ნიადაგის ყველა შემადგენელი ნაწილების რაოდენობის სისწორით გამოანგარიშებაში რაგინდ ცოტა არ იყოს მათი რაოდენობა; ეს ქიმიის საქმეა. უბრალო ანალიზის მიზანს კი შეადგენს ნიადაგის უმთავრესი შემადგენელი ნაწილების დაახლოებითი რაოდენობის გაგება. ასეთი ანალიზის მოსახდენათ საჭიროა შემდეგი ხელსაწყოები: აფთიაქის სასწორი საწონი ქვებით, ფაიფურის ფინჯანი, სპირტის ლამპა და შუშის ქილა სიმაღლით 20 სანტიმეტრი.

ანალიზს აწარმოებენ ამნაირათ: ფაითუარის ფინჯანს წმინდა მიწით ავსებენ და წონიან. თუ მიწა სველია, ფინჯანს ჯერ ათავსებენ სპირტის ლამპის ნელ ალზე ან მზეზე, წყალი რომ აორთქლდეს. შემდეგ მშრალი მიწიანი ფინჯანი უნდა აიწონოს. ამ წონას უნდა გამოვაკლოთ ფინჯანის წონა, მაშინ ჩვენ შევიტყობთ მიწის წონას, რომელიც უნდა დავიწეროთ. ამას შემდეგ მიწიანი ფინჯანი სპირტის ლამპის ალზე უნდა მოვათავსოთ და გავახუროთ. მალე ჩვენ შევამჩნევთ, რომ ფინჯანიდან კვამლი ამოდის. დროთ გამოშვებით საჭიროა მიწის არევა შუშას ჯოხით. როდესაც კვამლის ამოსვლა შეწყდება, ჩვენ დავინახავთ, რომ მიწას ფინჯანში მუქი ფერის ნაცვლათ ღია ფერი ექნება. ამის მიზეზი ის არის, რომ მიწის დამპალა ნახშირმჟავას სახით ჰაერს შეუერთდა. ახლა მიწიანი ფინჯანი უნდა გავაცივოთ და ხელახლა ავსწონოთ -- მიწიანი ფინჯანი ნაკლებს აიწონის. განსხვავება წონაში გვიჩვენებს, თუ რამდენი იყო მიწაში დამპალა. ამას შემდეგ ცხადია ფინჯანში დარჩება სილა, თიხა და მინერალური მარილები. მათი რაოდენობა რომ გავიგოთ, ასე უნდა მოვიქცეთ: ის მიწა, რომელიც ფინჯანში დაგვრჩა, შუშის ქილაში ჩავყაროთ, წყალი დავასხათ და ჯოხით აურიოთ. წყალი რასაკვირველია აიმღვრევა. ახლა ქილა დავდგათ თავისუფალ ადგილას ისე, რომ არ გადაბრუნდეს. რამდენიმე ხნის შეედეგ ჩვენ შევამჩნევთ ქილაში სამ ფენას: ქვეშ იქნება დალეკილი სილა (ვინაიდან სილა თიხაზე უფრო მძიმეა), მას ზევით—თიხა, თიხას ზევით კი—წყალი და მასში გახსნილი მინერალური მარილები. ქილიდან წყალი ფრთხილათ გადმოვასხათ და დავდგათ ის მზეზე ან ცეცხლის მახლობლათ, როდესაც თიხა და ქვიშა გაშრება, ქილიდან გრძელ ტარიანი პატარა კოვზით თიხა ამოვიღოთ (ისე რომ სილის მარცვლები არ ამოყვეს) და ავსწონოთ. შემდეგ ავსწონოთ სილა. უნდა გვახსოვდეს, რომ თიხის, სილის და დამპალას წონათა ჯამი თითქმის უნდა უდრიდეს პირვანდელ წონას. თუ განსხვავება შედარებით დიდი გამოვიდა, მაშინ საჭიროა ანალიზის შეწორება, რისთვისაც საჭიროა მისი განმეორება. ის პატარა განსხვავება, რომელსაც ჩვენ მივიღებთ, როდესაც მიწის პირვანდელ წონას გამოვაკლებთ თიხის, სილის და დამპალას წონათა ჯამს, იქნება მარილების წონა, რომელიც წყალში იყო გახსნილი.

ნიადაგის ანალიზის შედეგები შეიძლება აღინიშნოს ციფრებით შემდეგნაირათ:

1. „ცარიელი“ ფინჯანის წონა=10 გრამი.
2. მშრალი მიწიანი ფინჯანის წონა=25 გრამი
3. მაშასადამე, მიწის წონა=15 გრამი (25 გრ.—10 გრ.)
4. მიწიანი ფინჯანის წინა გახურების შემდეგ (დამპალას დაწვის შემდეგ)=24 გრ.

ეს წონა (24 გრ.) გამოვაკლოთ მშრალი მიწიანი ფინჯანის პირვანდელ წონას და მივიღებთ შემდეგს: 25 გრ.—24გრ.=1 გრამი; მაშასადამე, მიწაში ყოფილა 1 გრ დამპალა.

5. 15 გრ.—1 გრ.=14 გრ.

აქიდან სჩანს, რომ თიხის, ქვიშის და მარილების საერთო წონა უდრის 14 გრ.

6. წარმოვიდგინოთ, რომ თიხა, რომელიც ჩვენ (გაშრობის შემდეგ) ქილიდან ამოვიღეთ, იწონის 7 გრ. თიხა კი—$6^1/_5$ გრ.

7. მიწის პირვანდელ წონას (15 გრ.) გამოვაკლოთ თიხის, სილის და დამპალას წონათა ჯამი, მივიღებთ:

დამპ. 1 გრ.+თიხა 7 გრ.+სილა $6^1/_5$ გრ.= $=14^1/_5$ გრ.

15 გრ.—$14^1/_5$ გრ.=$^4/_5$ გრ.

მაშასადამე, 15 გრ.: ნიადაგში ყოფილა 1 გრამი დამპალა, 7 გრამი თიხა. $6^1/_5$ გრამი სილა და $^4/_5$ გრამი მარილები.

იმის დასამტკიცებლათ, რომ ქილიდან გადმოსხმულ წყალში მინერალური მარილებია გახსნილი, ჩვენ ეს წყალი უნდა დავასხათ საინზე და ავაორთქლოთ. საინზე დარჩება თხელი ფენა მარილებისა.

მიღებული შედეგი ნიადაგის ანალიზისა შეიძლება განოვხატოთ პროცენტების სახით შემდეგნაირათ.

დამპალა: $1:15=X:100$; $15X=100$; $X=\frac{100}{15}=7\%$.

თიხა: $7:15=X:100$; $15X=700$; $X=\frac{700}{15}=47\%$.

სილა: $6^1/_5:15=X:100$; $15X=\frac{3100}{5}$; $X=\frac{3100}{15}=41\%$.

მარილები: $^4/_5:15=X:100$; $15X=\frac{400}{5}=80$; $X=\frac{80}{15}=5\%$.

ნიადაგების კრებნარის შესადგენათ აკეთებენ ხის ყუთს, რომელიც გაყოფილია რამდენიმე განყოფილებათ; თითოეულ განყოფილებაში მოთავსებულია ესა თუ ის ნიადაგი. ყოველ განყოფილებას თან ახლავს პაწია ქაღალდის ნაჭერი, რომელზედაც აღნიშნულია ნიადაგის ანალიზის შედეგი და ის ადგილი, სადაც ასეთი ნიადაგი მოიპოვება.

ანტონ სულამანიძე.

იმავ მნიშვნელოვან საკითხის გამო.

ჟურნალ „განათლების მოამბის“ მე №-3 ში მოთავსებული იყო ორი წერილი ერთ ფრიად საყურადღებო საკითხის შესახებ. ეს არის კითხვა ქართული ენისა და სიტყვიერების სწავლების შესახებ საშვალო განათლების შკოლებში. პირველი წერილის ავტორი ივ. წულეისკირი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს რომ ქართული ენისა და სიტყვიერების სწავლების რიგიანათ დაყენება ,,საჭირბოროტო საკითხათ გადაქცევია ქართული სიტყვიერების ყოველ მასწავლებელს‘‘. ავტორის სიტყვებით: ,,მდგომარეობა მეტად მწვავეა, რადგან ამ საკითხის შესახებ ჩვენ არაფერი მოგვეპოება და ყოველი ჩვენგანი იძულებულია უმთავრესად თავის პირად გამოცდილებასა და დაკვირვებას დეყრდნოს‘‘. ამავე აზრს, მხოლოდ სხვანაირი სიტყვებით, გამოთქვამს მეორე წერილის ავტორიც, ფ. შავგულიძე. ის სწერს: ,,ქართული ენის მასწავლებელი გრძნობს ერთგვარ გაურკვეველობას. ეს საგანი შესასწავლი მასალის მხრივ სავსებით ჩამოყალიბებული არა გვაქვს. სხვა და სხვა გვარად გადიან, სხვა და სხვა მოხაზულობით —ხშირად (რაც უფრო სავალალოა) ერთ და იმავე ტეხნიკუმშიც კი‘‘. ჩვენ ჩვენის მხრივ სავსებით ვადასტურებთ რომ ეს მართლა ასეა, რომ მიუხედავათ იმისა რომ აგერ 6 წელზე მეტია რაც ქართული ენა საშვალო შკოლებში სავალდებულო საგნათ არის ჩათვლილი, მისი შესწავლა მაინც ცუდათ არის დაყენებული.

თითოეულ მასწავლებელს ამ საგნის სწავლებაში სრული შეუვალობა აქვს გამოცხადებული. ზოგი ასე ასწავლის, ზოგი ისე. არავითარი საერთო მეთოდი, არავითარი საერთო პროგრამა. შედეგი კი მეტად სამწუხაროა. როგორც სისწორით აღნიშნავს ზემოდ დასახელებულ პირველი წერილის ავტორი ივ. წულეისკირი ,,ძალიან იშვიათად შეხვდებით ისეთ საშვალო განათლება დამთავრებულ ახალგაზრდას, რომელსაც შეეძლოს სწორი, ლიტერატურული ენით თავისი აზრის თავისუფლად გამოთქმა, მხატრული ნაწარმოების ჯეროვნად გაგება-დაფასება‘‘ და სხვა... ეს სამწუხაროთ სინამდვილეა. მაგრამ როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე!?

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობის მთელი განვითარებისათვის მშობლიური ენის და ლიტერატურის შესწავლის კარგად დაყენებას სკოლაში. ეს ყველასათვის უდავოა. ამაზე ყველა ერთხმად გაიძახის, მაგრამ საქმე ისაა თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეს.

ქართულ ენას საშვალო სკოლაში, შედარებით სხვა საგნებთან, დიდი წარსული არა აქვს. თვითმპყრობლობის დროს ის სრულებით განდევნილი იყო საშვალო სკოლიდან, ამიტომ ის შედარებით ახალ საგნათ ჩაითვლება. მას არა აქვს ერთგვარი ტრადიცია, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ამ საგანს ყოველი მასწავლებელი თავის გემოზე ასწავლის. ზოგი კვეცავ, ზოგი ზედმეტად აფართოებს, ზოგს ეჯავრება ძველი ქართული მწერლობა და იქამდის მიდის რომ შოთას ,,ვეფხვის ტყაოსანსაც'' კი არ თვლის ღირსად გააცნოს მოწაფეებს, ზოგი კი ისე ეფლობა ძველ მწერლობა'ში, რომ ახალი მწერლობა სულ გაუვლელი რჩება და სხვა.

თავისთავად ცხადია ასეთი არევ-დარევა ყოვლად დაუშვებელია; ეს თუ ასე იყო აქნამდის, მომავალში ასე არ უნდა იქნეს, ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს თვით ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილებამ, თუ გვინდა რომ ახლად დამდგარ სასწავლო წელშიც ქართული ენის შესწავლამ ისე უნაყოფოთ არ ჩაიაროს, როგორც წინა წლებში. საჭიროა მოწვეულ იქნეს მაზრის საშვალო სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა თათბირი, რომელიც გამოიტანს ავტორიტეტულ და ყოველი ქართული ენის მასწავლებლისათვის სავალდებულო დადგენილებებს ამ კითხვის შესახებ. კარგი იქნება შესაფერ შვამდგომლობას ამის შესახებ აღძრავდენ ქალაქ ქუთაისის ტეხნიკუმების ქართული ენის მასწავლებლები, როგორც უფრო ახლო მდგომნი განათლების სამაზრო განყოფილებასთან. რაც შეეხება თვით მასწავლებლების მიერ კერძოთ აზრის გამოთქმას პრესის საშვალებით, თუ როგორი მეთოდი ან მასალის როგორი განაწილება იქნება უმჯობესი, როგორც ამას სჩადის ფ. შავგულიძე, ჩვენის აზრით, საქმეს ვერ უშველის, რადგან თითოული მასწავლებელი მაინც დარჩება თავის აზრზე, აქ საჭიროა საერთო შეთანხმება. შეიძლება თქვან, რომ სახალხო განათლების კომისარიატს ექნება წელს ახალი პროგრამები და ყოველივე დავა ამ საგნის შესახებ გადაიჭრებაო. მაგრამ წარსული წლის მაგალითს თუ ავიღებთ, ვნახავთ რომ სახალხო კომისარიატის პროგრამები უდავოთ ვერ ჭრის კითხვას. შეიძლება კომისარიატის პროგრამა იდეალური იქნეს, მაგრამ სინამდვილეში არ გამოდგეს. ჩვენ გვახსოვს შარშან ქართული ენის მასწავლებლების წუწუნი, განსაკუთრებით პროვინციაში, როდესაც ისინი ვერ ახერხებდენ კომისარიატის პროგრამის შეფარდებას მოწაფეთა ცოდნასა და გემოვნებასთან. ამისათვის ჩვენის აზრით ქართული ენის მასწავლებელთა თათბირს უფრო შეუძლია რეალური შედეგები მოგვცეს ამ კითხვის გადაჭრაში. ეს საქმე დავიანებას არ ითმენს.

ქ. ხონი

ა. ბახტაძე.

ქუთაისის და მისი მაზრის სასკოლო სანიტარულ ექიმების 4 თვის მოქმედების ანგარიში.

(ცდა ამის სანიტარულის თვალსაზრისით შეფასებისა).

დიდი ხნიდანვე ცნობილია, რომ ძველი რეჟიმის სკოლა ბავშვების ფიზიკურ განვითარებას, მათ ფიზიკურ სისალეს და ჯანმრთელობის ერთობ ცოტა ყურადღებას აქცევდა. მისთვის მხოლოდ განსაზღვრული ტიპის და მსოფლმხედველობის მოხელე იყო საჭირო და არა ფიზიკურად საღი და მომქმედი ადამიანი. მართალია 1905 წლიდან პედაგოგიურ და საექიმო ლიტერატურაში უფრო ხშირად და ხშირად გაისმოდა ხმა სკოლების ჰიგიენურად მოწყობასა, სწავლების ჰიგიენისა და ამით მოსწავლეების, მოზარდი თაობის ჯანმრთელობის განმტკიცებაზე, მაგრამ ეს ხმა არ იყო სათანადოთ შეფასებული და მიღებული. ჰიგიენისტების, რუსეთის ერობის საუკეთესო ექიმების, პიროგოვის სახელობის ექიმთა ყრილობების და მოწინავე პედაგოგების მეთაობით გაწეული დიდი ცდა და შრომა ამ მხრით თითქმის უშედეგოთ დარჩა და ხორცი ვერ შეისხა, სასურველი სახე და გამოხატულება ვერ მიიღო... ძველი რუტინა იმდენად დიდი იყო და ყველას ძვალს და რბილში ჰქონდა გამჯდარი, რომ დიადი მოვლენების შემდეგაც, როდესაც რევოლიუციის პროცესში ყოველივე ძველი დაირღვა და წარიშალა და ახალი ცხოვრების, ახალი გზების გამონახვა, ახალი შენობის ამო-

ყვანა დაიწყო, სასკოლო სანიტარული საქმე სრულებით შეუმჩნეველი დარჩა და ძველ კალაპოტს ვერ გასცილდა, გერის როლიდან ვერ გამოვიდა, საპატიო ადგილი ვერ მოიპოვა, სათანადო სიმაღლეზე ვერ შესდგა; მის საჭიროებაზე და სარგებლობაზე ახლაც ისეთი წარმოდგენა ქონდათ და შეხედულებისა იყვენ, როგორც რევოლიუციამდე. ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ ხალხის ჯანმრთელობისა და ხალხის განათლების სათავეში ისეთი პირები მოხვდნენ, რომლებიც რევოლიუციას მხოლოდ გარეგნულათ შეუთვისდენ და ამ დიდმა მოვლენამ თვით მათში, მთელ მათ არსებობაში, გულში და გონებაში თითქმის ვერავითარი ცვლილება ვერ მოახდინა, მის გონებაში ძველი ღირებულებათა გარდაფასება ვერ შესძლო. ამიტომ იყო, რომ შკოლას რევოლიუციის განმწმენდი და მაცოცხლებელი სხივები თითქმის ვერ შეეხო და ვერ გარდაქმნა, ვერ გადაახალისა იგი. ისევ ძველი სული, ძველი მიმართულება, მსოფლმხედველობა და შეხედულება დარჩა იქ. ხალხის ჯანმრთელობის საქმეშიდაც ძველი სული და მიმართულება დარჩა და მისი ხელმძღვანელნი პიროგოვის სახელობის ექიმთა საზოგადოების სურვილებამდინაც კი ვერ ამაღლდენ, რომ სხვაგანაც და სკოლაშიდაც სანიტარული საქმე კარგად დაეყენებიათ... მაგრამ მალე ცხოვრების სარბიელზე სხვა ხალხი გამოვიდა, სხვა ლოზუნგები გადაისროლა და საქმის გაკეთების სხვა იმედებიც დაიბადა.

ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ ეპიდემიოლოგიური ქვე-განყოფილება, სანიტარულ საქმეს საერთოთ და სასკოლო სანიტარულს კერძოთ იმ თავითვე დიდ ყურადღებას აქცევდა და სცდილობდა შკოლებისათვის ცალკე ექიმები მიეცა და მით მოსწავლე ახალგაზრდობის, სანიტარულის თვალსაზრისით, ცხოვრების შესწავლისა და მისი ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის ხელი შეეწყო, მაგრამ მისდა სამწუხაროთ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო ამ კეთილი განზრახვის შესრულება მან მხოლოდ ამ წლის თებერვალში შესძლო. ამ დროს ქუთაისისა და მისი მაზრისათვის სასკოლო სანიტარული ექიმები დაინიშნა, რომელთაც სამოქმედოთ განსაზღვრული ინსტრუქცია მიეცათ და იგინიც თავის მოვალეობის ასრულებას ერთგულათ შეუდგენ. სასკოლო სანიტარული ექიმი ხუთი (5) იყო დანიშნული ქ. ქუთაისში და მაზრაში კი სამი—ხონში, დიდჯიხაიშში და სამტრედიაში. ამას გარდა ქუთაისში დანიშნული იქნა ცალკე სასკოლო სანიტარული კბილის ექიმი, რაც პირველი მაგალითია მთელს რესპუბლიკაში. სხვაგან მაზრაში შკოლებზე მეთვალყურეობა სანიტარული დავალებული ჰქონდათ თემების ექიმებს

მხოლოდ რამოდენიმე თვე იმუშავეს ამ ექიმებმა, შედარებით მოკლე დრო ჰქონდათ ამისათვის მათ, მაგრამ ამ მოკლე დროშიაც მათ იმდენი საყურადღებო მასალა მოგვცეს, სკოლის სანიტარული მდგომარეობის ისეთი სურათი დაგვიხატეს, რომ საჭიროთ ვთვლი ეს მასალა ჟურნალის ფურცლებზე მოვათავსოთ და მით სახალხო განათლების და ჯანმრთელობის კომისარიატებს შეძლება მივსცეთ ამ საქმეს ყურადღებით მოეპყრან და შენიშნული დეფექტების გამოსწორებას დროზე შეეცადონ.

უნდა ვსთქვათ აქვე, რომ ინსტრუქციის ძალით სასკოლო სანიტარულ ექიმებს სასწავლებლებზე, მოსწავლე-მასწავლებლებზე მხოლოთ სანიტარული მეთვალყურეობა ევალებათ და არა ორი უკანასკნელის—მკურნალობა, რაც პირველ ხანებში ერთნაირ გაუგებრობას, უხერხულობას და საყვედურებსაც იწვევდა,—საყვედურებს უმთავრესად მასწავლებლების მხრით, მაგრამ მერმე, ამ გარემოებას ყველანი შეეჩვიენ და ცოტა დაწყნარდენ. საჭიროა, რომ მასწავლებლებმა ერთხელ და სამუდამოთ შეიგნონ, რომ სასკოლო სანიტარულ ექიმებს მოსწავლეების, მასწავლებლები და მათი ოჯახობის ექიმობა არ ევალებათ, რადგან ეს მათი პირდაპირი მოვალეობის ასრულებას ხელს შეუშლის და დაგვეხმარონ ამაში... მართალია ერთი შეხედულებით ძნელი წარმოსადგენია, რომ ექიმი ავადმყოფებს არ წამლობდეს, მაგრამ რადგან ავათმყოფებზე ზრუნვა ჩვენ ამბულატორიისა და რაიონის ექიმებისათვის გვაქვს მინდობილი—სასკოლო სანიტარული ექიმები სხვა უფრო საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობას ასრულებენ. იგინი თვისი მუშაობით საფუძველს უყრიან უკეთეს მომავალს, მათგან დაგროვილი მასალა ჩვენ ამა თუ იმ ზომების საჭიროებას და დროზე შემოღებას თვალ-ნათლივ დაგვიმტკიცებს—და ჯერ ესეც ეყოფათ,—მეტი აღარაფერი მოეთხოვებათ...

სასკოლ სანიტარული ექიმების მოქვედებას, მათ მუშაობას რამოდენიმე მხარე აქვს. პირველი ამათში—ეს **სანიტრულის თვალსაზრისით მოსწავლეთა ჯანმრთელობის შე-**

სწავლა გახლავთ. ავადმყოფი, დეფექტებიანი მოსწავლეების აღნიშვნა, ყველაზე და განსაკუთრებით ასეთების ფიზიკურ განვითარებაზე ზრუნვა, მათი ავათმყოფობის მსვლელობის შესწავლა, მათი ჯანმრთელობა-სისაღის აღდგენა და ამისათვის საჭირო ზომების ხმარება—აი პირველი მათი მოვალეობა. ამ მიზნით თებერვლიდან შუა ივნისამდე ქუთაისში გასინჯულია მოწსფეთა რაოდენობის აქვე მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს:

მოწაფეთა რიცხვი განათლების განყოფილების განკარგულებით.	ექიმებისაგან გამოსაკვლევად მოწვეული მოწაფეთა რიცხვი.	საღი აღმოჩნდა	ავათმყოფი	ამათში ს. ხ. ნიშნებით.	თიმტრატი (Золотуха).	ხერხემლის გამრუდებით.	ჩიყვით	ნევრასტენიით	ბნედათი	სხვა და სხვა ავადმყოფობათი	დეფექტებით	თვალის ავადმყ.	ყურის ავადმყ.	გადამდები ავად მყოფ.	აუცილებელ ოპერაც.
10.472	5.905	4.533	1.372	92	70	27	177	95	4	641	31	34	34	167	2416
			23,7%	6,6%	5,1%	2,0%	12,9%	6,9%	0,3%	46,7%	3,2%	2,4%	2,4%	12,2%	

(გაგრძელება იქნება)

ექიმი **ე. ლოსაბერიძე.**

უძიმერიონის ცრხის მოწესრიგების შესახებ.

იშვიათია ისეთი ქვეყანა, რომელიც ისე მდიდარი იყოს ძველი ისტორიული ნაშთებით, როგორც საქართველო. მაგრამ ამასთანავე იშვიათია ისეთი ხალხიც, რომელიც ისე გულგრილად და უდიერათ ეპყრობოდეს თავის ისტორიულ სიძველეებს, როგორც ჩვენ, ქართველები. ამის დასამტკიცებლად მოვიგონოთ, რა მდგომარეობაში იყო ამ ათი წლის წინათ ბაგრატის ტაძრის ნაშთი და რა მდგომარეობაშია ახლა იმის გვერდით მდებარე უქიმერიონის ციხის ნანგრევები. ბაგრატის ტაძრისათვის მტრის ზარბაზნებს იმოდენი ზიანი არ მიუყენებიათ, რამდენიც ადგილობრივმა ქართველებმა. კედლების ქვები ლომით და კირკით ჩამოქცეულია და ნახმარია აქ მყოფ დაწესებულებათა და კერძო პირთა შენობეებთათვის. აქ ხშირათ შეხვდებით ქვიტკირის ზღუდეში და ყორები დატანებულ ჩუქურთმიან ქვებსაც. მიდამო ნანგრევებისა ბინძურათ ინახებოდა. ის წარმოადგენდა საჭონლის ფარეხს. ჩუქურთმიანი ქვები ნაგავით იყო დაფარული და უმეტესი ნაწილი მიწაში დამარხული. ასეთ მდგომარეობაშია ახლა უქიმირიონის ციხის ნაშთიც. კედლები აქაც ნაძალადევათაა ჩამონგრეული. ამ ოთხი თვის წინ, სანამ აღნიშნულ ნაშთს მე-7 მთლ. შრომის სკოლის გამგეობას ჩააბარებდენ, აქაური მცხოვრებნი ციხის ნანგრევების თლილ ქვებს ურმობით ყიდდენ. მიდამო ციხისა საჭონლის საძოვარ ადგილათ არის გადაქცეული.

დროა ამ ისტორიულ ნაშთსაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება! თუმცა ამ საქმეს დიდი შრომა და თანხა დაჭირდება, მაგრამ, როგორც გამოცდილებით ვიცი, ხშირათ ძნელი საქმე საზოგადოების დახმარებით და კოლლექტიური შრომით ადვილათ კეთდება. ამის თვალთსაჩინო მაგალითს ბაგრატის ტაძრის ნაშთის მოწესრიგების ისტორია წარმოადგენს. ქვითკირის ზღუდის აშენება, ზევიდგან მისი დაცემენტება, რკინის ალაყაფის კარის აგება' მიდამოს გაწმენდა, ჩუქურთმიან ქვების მიწიდგან ამოღება და მათი დაწყობა, კედლების შეკეთება, სამრეკლოს კედლების დაცემენტება და მცენარეების გაშენება, ყველა ზემოალნიშნული მუშაობა, თუმცა დიდ თანხას და შრომას მოითხოვდა, მაგრამ იგი ადვილათ გაკეთდა ყოფილ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა მეოხებით.

აი ამ მაგალითის ნიბაძვით მე იმედი მაქვს აღნიშნული ციხის ნაშთის მოწესრიგებაც ადვილათ დაგვირგვინდება. რადგანაც შრომის სკოლებში შრომის პრინციპი ჯერჯერობით არ არის გატარებული, ეს საქმე იქნება მათთვის ერთი დარგი კულტურული შრომისა. ამიტომ ამ საქმეში ქუთაისის ყველა შრომის სკოლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. აქ მუშაობას გამოცდილი პედაგოგი მოსწავლეთა აღზრდისა და გონების განვითარების თვალთსაჩინო საშვალებათ გახდის. ასეთი მუშაობა მოსწავლეებს მიაჩვევს საზოგადო საქმისათვის კოლლექტიურ შრომას, განუვითარებს ნებას და აღუძრავს სურვილს სამშობლოს შორეული წარსულის შესწავლისას. გარდა ამისა მიწის თხრის დროს შეიძლება ნიადაგის განხილვა, მცენარეთა ძირების შესწავლა და სხვა და სხვა ქვების და

კირის თვისებათა გაცნობა. მოსწავლეთა აქ მოსვლა სამუშაოთ იქმნება ერთგვარი ექსკურსია, მექონე თავისი განსაზღვრული ობიექტისა.

აღნიშნული ისტორიული ნაშთის მოწესრიგება ციხის გეგმას თვალთსაჩინოთ ყოფს, რაც მის არხეოლოგიურ მნიშვნელობას გააორკეცებს. გაწმენდის და გავაკების შემდეგ ციხის მიდამო იქმნება საუკეთესო ტანთსავარჯიშო მოედანი. ბაღის გაკეთების შემდეგ ეს ადგილი იქმნება უტურფესი პოეტიური კუთხე მთელ საქართველოში.

ანთიმოზ გორგაძე.

ზოგადი დიდაქტიკა*)

(კონსპექტიური კურსი)

თავი III.

§ 17. მიზანშეწონილად წარმოებული სწავლების პროცესი ბავშის **ფიზიკურ** ვითარებას უნდა ეთვისებოდეს, მხედველობაში მის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას უნდა იღებდეს, ესე იგი მისი განვითარების **ორგანიულ საფეხურებს**. ფიზიოლოგიურ და სულიერ მოვლენათა ურთიერთი ზემოქმედება უდავო პრინციპათ უნდა ჩაითვალოს. ეს დებულება ერთგვარი **პოსტულატია** (აუცილებელი პირობა) თვით ჩვენი მეცნიერების აშენებისათვის; ეს ურთიერთობა ისე უნდა გვესმოდეს, როგორც ამას **ემპირიული პარალელიზმი** აღიარებს;—ესე იგი ადამიანის ბუნების სულიერი და ფიზიოლოგიური მხარე შეგვიძლია შევადაროთ იმ ორ პარალელ ხაზს, რომლის ყოველი წერტილი მეორე ხაზის წერტილს უდრის. გონების ამუშავება ნერვიულ სისტემაში გარკვეულ ცვლილებით გამოიხატება; დინამომეტრის**) საშუალებით შესაძლებელია ბავშის კუნთების ძალის აღნიშვნა სწავლების დაწყებამდე და მის შემდეგ. უკანასკნელ შემთხვევაში დინამომეტრის ისარი ნაკლებ ძალას გვიჩვენებს.

შრომის **ნაყოფიერება** ფიზიკურ ჯანსაღობაზეა დამოკიდებული, აგრეთვე იმ გარე პირობებზე, რომელნიც მის სხეულზე მოქმედებენ მაგალ. ცუდი ტაროსი). დიდაქტიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „სასკოლო ჰიგიენა“. ამ დისციპლინის შემეცნებამ სწავლების ნორმალური ვითარება უნდა უზრუნველყოს. ესე იგი, სწავლების წარმოება ჰიგიენურად მიუღებელ პირობებში არ უნდა დაუშვას.

§ 18. დიდაქტიკა ანგარიშს უწევს იმ მოსაზრებას. რომ ბავშის ფიზიკური ვითარება—**თავისებურია**; ბავში არ არის თანაბრად **შემცირებული მოზრდილი ადამიანი**, მისი სხეული ნერვიული სისტემა, **მუდმივ ზრდის პროცესში** იმყოფება და ამ დროს ცხადია სხვადასხვა ხასიათის ფიზიოლოგიურ ცვლილებეს განიცდის, მისი სხეული მეტად სუსტი და ფაქიზია; ცენტრალურ ნერვიულ სისტემის ზრდა თანდათანობით ხდება; თავის ტვინი—ეს გონების ორგანოა, ხერხემლისა—გარე მოძრაობის, მოგრძო ტვინი მოძრაობისა, თვით ორგანიზმში (სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა, საჭმელის მიღება). **მოძრაობის ორგანოების** განვითარება **წინ უსწრობს** გონების ორგანოს მომწიფებას. თავის ტვინის ზრდა რაოდენიმედ მესამე წლის ბოლოს მთავრდება, სავსებით კი —შვიდ წელზე, —ხერხემლისა პირველ თვეებში. ბავშის ვითარების პირველი საფეხური მრავალ მოძრაობით ხასიათდება. ცნობილია, რომ ეს არის ინტრინკტების, გარე გრძნობათა ვარჯიშობის, მოძრაობის ხანა. თუ მართალია ის, რომ ბავში კაცობრიობის ისტორიის ზოგიერთ საფეხურებს განიმეორებს, სამაგიეროდ ის ვერ ჩაითვლება პირველ ყოფილ ადამიანათ (homo primigenius), როგორც ამას ხშირად კატეგორიულად აღიარებენ,[1]) ანგარიში უნდა გაუწიოთ შემდეგ მოსაზრეაებს: a) პირველ ყოფილ ადიმიანის ტიპი მეცნიერულად აღდგენილი არ არის; b) ბავშის განვითარება სულ სხვა მასშტაბით და პირობებში ხდება; ვიდრე პირყელყოფილ მოზრდილ ადამიანისა; c) დიდი მნიშვნელობა შთამომავლობითი ფაქტორს —მემკვიდრეობას—უნდა მიეკუთნოს, რომელიც გარკვეულ ფიზიოლოგიურ და—ამ ნიადაგზე—ფსიქიურ განწყობილებას ქმნის; d) მეტოდოლოგიურად უფრო მისაღებია პირველ-

*) გაგრძელება, იხ. №№ 2, 3, 4.

**) კუნთების ძალის გამზომი.

[1]) იხ. ნარკომპროსის მიერ გამოც. „ახალ სკოლისაკენ“ გვ. 47.

ყოფილ და თანამედროვე ბავშთა შედარება, ვიდრე პირველ ყოფილ მოზრდილ ადამიანისა და ბავშის. ჩვენი აზრით, ზემოადნიშნული ანალოგია სახიფათო და მიუღებელია; უფრო საგულისხმიეროა ის, რომ ბავშმა აღზრდის პროცესში **პირველ ყოფილ ადამიანის შრომის საფეხურები** გაიაროს, რაც დიდ ღირებულების დიდაქტიურ მასალას იძლევა უტყუარი ფაქტია ის, რომ ბავში განუწყვეტლად უამრავ მოძრაობას აწარმოებს. აქ კი საჭიროა მასწავლებლის ხელმძღვანელობა – მრავალ **უსისტემო მოძრაობას** (ორგანიულ და პერიფერიულ რეფლექსებს) მან მიზანშეწონილი **რაციონალური** ხასიათი უნდა მისცეს (მიზანი და შესაფერისი მოძრაობა). ბავშის კარგი მოძრაობითი უნარი მის ნორმალ სულიერ ვითარებას გულისხმობს. მოწაფის **წარმაშებისა** და მის **სწორ მოძრაობითი** უნარის შორის პირდაპირი პროპორციონალური მიმართება სუფევს. ნაყოფიერი ინტელექტუალური მუშაობა **მოძრაობათა სისწორეს** უერთდება. მოძრაობის გარეგანი სიტლანქე გონების სიჩლუნგეს მოწმობს. თავის თავად მოძრაობა უნდა იქნეს: **მძლავრი, სწრაფი, ნაყოფიერი**. მოწაფის მოძრაობითი უნარი გამოიხატება სიმარდეში, წერის, პასუხის დროს სიარულის (სხეულის დაჭერა), სიცქვიტეშიც და სხვა.

§ 19. ბავშის გონებრივ ვითარების პირველი საფეხური **ქაოტიურია**. სულიერი არე **ინსტინქტებით** არის მოცული. პირველად **გემოვნებით** შეგრძნების ცენტრი ვითარდება. თუ მაგალითად, ბავშს მწარე სითხით დასოლებულ საწოვებელს მივაწოდებთ, ეს მას არ ესიამოვნება; ამავე დროს **ყნოსვითი** შეგრძნებაც ვითარდება, რადგან არა სასიამოვნო სუნი მასში ერთგვარ რეაქციას იწვევს. დაახლოვებით მეოთხე თვიდან ვითარდება მხედველობა, სმენა, შეხება (სტერეოგნოსტიული ათვისება). შემჩნეულია, რომ ფერების მკაფიო გამოხატულება ბავშის განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს. ეს არ არის უბრალი „ხედვა“, წინეთ ის მას ხელს არ გაუწვდიდა, ეხლა კი ეს უფრო გონიერი მხედველობაა, შედეგი იმისა, რომ ბავში გრძნობს **განსხვავებას** თავის სხეულის და საგნის შორის ამნაირი გონებრივი მხედველობა ექვსი თვიდან შესამჩნევად ძლიერდება. დიდაქტიურად შეგრძნებათა განვითარება ისე უნდა მოეწყოს, რომ ბავშის **გარე გრძნობათა არე და მოტორულ მოძრაობის, მოქმედების არე დაჩრდილული არ იქნეს**. განცალკევებულად გონებრივი განვითარება არ მოხერხდება; ორივე მხარე აღზრდისა—ერთნაირად მნიშვნელოვანია; როგორც სამართლიანად ამბობს მონტესორი, პსიქოსენსორული (გონებრივი) აღზრდა იმდენათ საჭიროა, როგორც პსიქომოტორული (მოძრაობითი). თუ ჩვენ რეფლექტიურ (სენსო-მოტორულ) რკალს ავიღებთ, აქ უმთავრესად სამი პუნქტია—პერი ფერია (S), ნერვიული ცენტრი (C) და მოძრაობის ორგანოს (კუნთების) ამმოძრავებელ ნერვთა დაბოლოება (M). პუნქტი S—პერიფერია გაღიზიანების, შთაბეჭდილების მიმღებია; ამ გაღიზიანების გადამუშავება ცენტრში ხდება (C), ეს კი იწვევს ამმოძრავებელ ნერვის მოქმედებას, რომელიც უშუალოდ კუნთებს აამუშავებს და ამით მოძრაობას, მოქმედებას ქმნის. ბავშისთვის აქ დამახასიათებელია ის, რომ შთაბეჭდილებას (გაღიზიანებას) **უძრავად** გონივრულ ცენტრით (C) კი არ ინელებს როგორც მოზრდილი, არამედ უპასუხებს მას რაიმე რეაქციით, მოძრაობით ესეიგი **პსიქო-მოტორულად**, მაშასადამე სწავლებაც ამ პროცესს უნდა ეგუებოდეს, უნდა მოდიოდეს გარე-გრძნობათა აღზრდიდან აზრებისაკენ (S—C); აგრეთვე ფიზიკურ აღზრდიდან (M--C) სრულ ადამიანობისაკენ.

პირველ საფეხურზე გონების მდგომარეობა უმეშვეოდ ზედაპირულ (S) პროცესებთან არიან დაკავშირებული, შემდეგ კი ის (C) მეტ შინაგან დამოუკიდებლობას პოულობს გარემოსთან უმეშვეო კავშირის შეწყვეტით (მსჯელობა, დასკვნა, ცნება).

§ 20. ბავშის პირველი მასწავლებელი თვალი, ხელი და ფეხია (რუსსო); რასაც ბავში პირველად გაეცნობა ეს გარე გრძნობათა ორგანოების საშუალებით ხდება. საგნის გემო, სუნი, ზედაპირი, სიმძიმე, ფორმა, ბგერა და სხვა; საგნის შემეცნება ერთი შეგრძნებით არ ხდება; ბავშვი, ათვისების (განცდის) დროს მრავალ გარე გრძნობათა ორგანოებით მოქმედებს. ეს ბუნებრივია, რადგან ყოველი საგანი მიზეზია შეგრძნებათა შეერთებისა **ერთ მთლიან პროცესში** (ათვისება). შეგრძნობის გამოყოფა მხოლოდ გონივრულათ არის შესაძლებელი, ან ექსპერიმენტით. თუ მაგ. ბავში თვალ ახვეულია და მას უცნობ საგნის ზედაპირით შევეხებით, მაშინ მას შედარებით წმინდა შეხებითი შეგრძნება ექნება.

შეგრძნებათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია **მხედველობაა**. ეს არის წყარო უდიდესი სიამოვნებისა, ფერადებით დატკბობისა, მხედველობის საშუალებით გროვდება უმთავრესი მასალა შემეცნებისათვის. საგნის ფორმის შეთვისება უფრო ადვილია მაშინ, როდესაც ის შეფერადებულია; კარგი არის, როდესაც ბავშს წითლად შეფერადებულ ბირთვს აწვდიან (ფრებელი), **სმენის** საშუალებით ბავშში ბუნების ბგერებს, ხმებს, სიტყვას, გალობას, მუსიკას ეცნობა; განსაკუთრებული ღირებულებისაა შეხებითი და **მოტორული** (მოძრაობითი) შეგრძნებანი საგნების ფორმის, რელიეფის და სივრცის თვისებების შემეცნებისათვის. გემოვნებითი და ყნოსვითი შეგრძნებებით შესაძლებელია სხვა და სხვა მოვლენების, თუ საგნების შეფასება. მათი სარგებლიანობის (გამოყენების და მავნებლობის მხრივ.

§ 21. ცნობილია მხედველობის უვარგისობა ბავშის ცხოვრების პირველ პერიოდში, უიპლი აღნიშნავს მის უვარგისობას მოკლე მანძილის ფარგლებში, შორს მხედველობა მოწაფეთათვის ჩვეულებრივია. სასკოლო მუშაობა კი მოითხოვს **კარგ მხედველობას ახლო მანძილზე**; გამორკვეულია, რომ სკოლის **სამ** მოწაფიდან **ერთს** მაინც აქვს საგრძნობი დანაკლისი; მოწაფეთა განაწილება კლასში ამ მდგომარეობას უნდა უწევდეს ანგარიშს და არა სიმდაბლე-სიმაღლეს, როგორც მიღებულია ჩვეულებრივად. მოწაფის ჩამორჩენილობა, უყურადღებობა ხშირად მისი ცუდი მხედველობით აიხსნება (ბინე). ამავე აზრისა არიან ამერიკელი პედაგოგებიც; სუსტი მხედველობის მოწაფეები იძულებული არიან განსაკრთრებული ენერგია ხარჯონ, რაც შემდეგ ზედმეტი ძალის დაჭიმვა მათ სწავლისადმი ინტერესს უკარგავს (სმედლეი); მოწაფეთა მხედველობის შეფასება მასწავლებელსაც შეუძლია, თვალის პირდაპირ კედელზე ცხრილს რამოკიდებენ, ამ ცხრილზე დაბეჭდილია სხვა და სხვა სიდიდის ასოები, ხოლო ეს ასოები არავითარ ცნობილ სიტყვას არ უნდა შეადგენდეს; ბეჭდვითი ასოების სიმაღლე უნდა უდრიდეს 7 მილიმ. ($^1/_8$ ვერშ.), მოწაფე დაშორებული უნდა იყოს 7 არშინით, დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება ის მხედველობა, როდესაც 7 ასოდან 3 სისწორით ამოიკითხავს; თუ ამას ის ვერ შესძლებს, მაშინ მას დააყენებენ 6 არშინზე, 5, 4, 3 და ასე სანამ მოწაფეთა ინდივიდუალური უნარი მხედველობისა არ გამოირკვევა. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს, ნებას არ აძლევს მოწაფეს ძალზედ დაუახლოვოს თვალები წიგნს, ასოები დაფაზე დაწერილი 7 მილიმეტრს უდრიდეს, დაფები კარგად გაშავებული უნდა იყოს სიტყვიერ მასალას კლასში მოწაფე არა მარტო მხედველობით, არამედ სმენითაც ითვისებს სმენის სისუსტეს ავადმყოფობა იწვევს, განსაკუთრებით **ადენოიდები**, ტრავმა, ყურის ზედმეტი გაღიზიანება (ყვირილით), მისი აწევით, ადვილი გამოსაცნობია სმენის სისუსტე მისი გარეგანი ნიშნებით, მაგალითად ყურიდან სითხის დენა, საერთო სიუძლურე, მოქანცულობა, გაღებული პირი, სახის განურჩეველი გამომეტყველება; სმენის ასეთი სისუსტე მოწაფის მეცადინეობას აფერხებს. მოწაფის სმენა არა ნორმალურია, თუ მას ჩურჩული 28 არშინის მანძილზე არ ესმის; სმენის მხრივ ყველაზე უფრო სუსტი მოწაფე ჩურჩულს გაარკვევს 1 არშინის მანძილზე. ასეთ მოწაფეებს ემჩნევა მისწრაფება განმარტებისაკენ და ამ ნიადაგზე ხასიათის არა სასურველი განწყობილება; მასწავლებლის მოვალეობაა მოუაროს ამ მოწაფეებს შესაფერის ადგილზე მოთავსებით და ამხანაგების დაცინვისაგან დაცვით.

ნ. გუთათელაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 26

31 აგვისტო, 1923 წელი.

სახალხო განათლების კომისარიატისა

რესპუბლიკის სასწავლებლებში სასწავლო სახელმძღვანელოების ხმარების შესახებ.

დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, აკრძალულია საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასწავლებლებში სახმარებლათ, როგორც სახელმძღვანელოები, ყველა ის სახელმძღვანელო რომელიც არ არის გამოცემული საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის

მიერ ან ნებადართული სახალხო განათლების კომისარიატისაგან.

მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო გამომცემლობის გამოცემანი იქნებიან დაშვებული სკოლებში სახმარებლათ, როგორც სახელმძღვანელოები, ყოველ ცალკე შემთხვევაში, განათლების კომისარიატის მიერ.

წინადადება ეძლევათ მაზრების განათლების, განყ. ტეხნიკუმების, შრომის სკოლების გამგეებს და ინსტრუქტორებს, რათა თვალყური ადევნონ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. ის პირნი, რომელნიც იქმნებიან შემჩნეულნი ამ დადგენილების დარღვევაში, იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში და გადაყენებულნი სამსახურიდან.

ამასთანავე ერთად ცხადდება სია იმ სახელმძღვანელოებისა, რომელნიც ნებადართულია სასწავლებლებში სახმარებლად.

1. ქართულ ენაში:

1. ი. გოგებაშვილი — დედა ენა 1 ნაწ. გამ. 1923 წლისა.

2. კიკვაძე და ჭუმბურიძე — „ჩვენი სკოლა“ 1, პირ. განათ. კურ.

3. კიკვაძე და ჭუმბურიძე — „ჩვენი სკოლა“ 2, პირ. განათ. კურ.

4. კიკვაძე და ჭუმბურიძე — „ჩვენი სკოლა“ 3, მეორე განყ. კურ.

5. თაბუკაშვილი — განთიადი — 1 ნაწ. 3 განათ. კურსი.

6. თაბუკაშვილი — განთიადი 2, მე-4 განათ. კურსი.

7. ჭუმბურიძე — „თაიგული“ მე-4 განყ. კურსი.

8. გომელაური „ჩვენი მწერლები“ 1, 5 განათ. კურ.

9. გომელაური — „ჩვენი მწერლები“ 2, 6 განათ. კურ.

10. გომელაური — „ჩვენი მწერლები 3, 7 განათ. კურ.

11. გომელაური — „ჩვენი მწერლები“ 4, 8 განყ. კურ.

12. ხუნდაძე — ქართული გრამატიკა.

13. თაბუკაშვილი — მეთოდიური შენიშვნები გრამატიკის სწავლების შესახებ.

14. ალ. ჰირაქაძე — მსოფლიო ლიტერატურის ისტორია 1, დროებით.

რუსულ ენაში:

1. მასწავლებელთა ჯგუფი — „Новая школа“ პირველი წლის კურსი.

2. გოგებაშვილი — „Русское слово“ 2 ნაწ. გამ. 1923 წ. მეორე წლ. კურსი.

3. ჯაფარიძე და ზედგენიძე — Методическая хрестоматия 1-ნ. მე-2 წლ. კურსი.

4. იგივე 2 ნ. მე-3 წლის კ.

5. იგივე 3 ნ. მე-4 წლის კ.

6. იგივე 4 ნ. მე-5 წლის კ.

7. ახვლედიანი-ზანდუკელი — ქრესტომათია ტეხნიკუმებისათვის.

8. კანდელაკი-მისაბიშვილი — რუსული ქრისტომატია ტეხნიკუმებისათვის დრ. დ.

არითმეტიკაში:

1. ჩიმაკიძე-შუბლაძე — ამოცანათა და რიცხვითი სავარჯიშოების კრებული 1 ნაწ.

2. იგივე 2 ნაწ.

3. დათეშიძისა — არითმეტიკული კრებული 1 ნ.

4. იგივე 2 ნაწილი.

5. გ. წერეთლისა არითმეტიკული კრებული.

6. არითმეტიკა — კიურზენის თარგმანი ხარაბაძისა.

გეომეტრია, ალგებრა, ფიზიკა, ტრიგონომეტრია.

1. შაფაქიძე — თვალსაჩინო გეომეტრია 1 ნაწ.

2. იგივე 2 ნ.

3. იგივე 2 ნ. მეორე წიგნი.

4. იგივე 3 ნ.

5. ს. ოცხელი — ელემენტარული გეომეტრია 1 ნ.

6. იგივე 2 ნ.

7. კანდელაკი — სტერეომეტრია.

8. ს. ოცხელი — ელემენტარული ალგებრა 1 ნ.

9. იგივე 2 ნ.

10. ს. ოცხელი და ნიჟარაძე — ფიზიკა 1 ნაწ.

11. იგივე 2 ნ.

12. ჯანელიძე — ფიზიკა.

13. კრაევიჩი — ფიზიკა. თარგ. კ. კანდელაკისა.

14. დევიძე და ხარაბაძე — ტრიგონომეტრია.

15. ბერიძე — ლოგარითმები.

16. გ. წერეთლის — ალგებრული ამოცანათა კრებული.

გ 20 ქო 1923

ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ქიმია და სხვა.

1. არ. ჩხენკელი—ბუნება 1 ნ.
2. იგივე 2 ნ.
3. დ ქუთათელაძე—ზოოლოგია.
4. მეტრეველი და არჯევანიძე—ბუნებისმეტყველების ცდათა კრებული 1 ნ.
5. იგივე 2 ნ.
6. ჰ. ჭანიჭე—ბუნებისმეტყველების ცდათა რვეული.
7. საზონოვი და ვერხოვსკი—ქიმია თარგ. კაკაბაძისა.
8. ჰიჰინაძე—ორთქლის ქვაბები.
9. იაშვილი—საზოგადო გეოგრაფია.
10. იგივე—ევროპა.
11. დონდუა—ბუნება სკოლაში.
12. იაშვილი—ბუნებისმეტყველების მოკლე სახელმძღვან.
13. დ. უზნაძე—პირველყოფილი კულტურა.
14. ნათაძე—პირველყოფილი კულტურა.
15. კარგარეთელი—სიმღერა—მუსიკის სახელმძღვანელო.
16. ჩელპანოვი—ფსიხოლოგია. თარ. ი. ჭუმბ.
17. შ. ნუცუბიძე—ლოღიკა 1923 წ. გამ.
18. კაკაბაძისა—პირველი მუშაობა ქიმიაში.
19. ნიკოლაიშვილი—ძერწვა.
20. ბაქრაძე—ჰიგიენის და ეპიდემიოლოგიის სახელმძღვ.
21. ნათაძე—ადამიანის ნორმალური ანატომია 1 ნ.
22. იგივე 2 ნ.
23. ქურდიანი—მეტყეობის კურსი.
24. რაზმაძე—ინტეგრალური აღრიცხვები.
25. მაისურაძე—ჰისტოლოგია 1 ნ.
26. იგივე 2 ნ.
27. ე. ლოსაბერიძე—ჰიგიენა.
28. ივ. რუხაძე—საქართველოს გეოგრაფია.
29. ვ. წერეთელი—„ჰიგიენა“ ტეხნიკუმის კურსი.

პოლიტიკურ ეკონომიაში და საზოგადღებათა მეცნიერებაში.

1. ალ. ბოგდანოვი—მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა თარგ. ის. თალაკვაძისა.
2. ს. ს. ს. რ. კონსტიტუცია.
3. სტუჩკა—კონსტიტუცია სიტყვა-პასუხით.
4. პროფ. გურვიჩი—საბჭოთა კონსტიტუციის საფუძვლები.
5. სტუჩკა მეცნიერება რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფოსა და კონსტიტუციაზე.
6. ვოლფიუს—ნაწყვეტები საზოგადოებათა მეცნიერებისა.
7. კოვალენკო-პოლიტიკური ანაბანა.

ი ს ტ ო რ ი ა შ ი:

1. პოკროვსკი—რუსეთის მოკლე ისტორია.
2. როჟკოვი—მსოფლიო და რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელო 1 ნაწ.
3. იგივე 2 ნ.
4. იგივე 3 ნ.
5. იგივე 4 ნ.

საქართველოს ისტორია შეკვეთილი აქვს დასაწერათ სარგის კაკაბაძეს განსაკუთრებული კონსპექტით და მატერიალური თვალსაზრისით დროებით სწავლება უნდა ხდებოდეს უსახელმძღანელოთ—პოკროვსკის ისტორიის გეგმის მიხედვით.

უცხო ენების სახელმძღვანელოები.

1. შევარდნაძე და სვანიძე—გერმანულ ენის სახელმძღვანელო 1 და 2 ნაწ.
2. შევარდნაძე და სვანიძე—გერმანულ ენის გრამატიკა.
3. შანსელ გლეზერი—ფრანგული ქრისტომატია თარგმანი კ. რუტკის მიერ (დროებ. დაშვ.).
4. მისივე—გერმანული ქრისტომატია ტეხნიკუმებისათვის (დროებით დაშვ.).

სახალხო განათლების კომისარი

დ. კანდელაკი.

სახელმწიფო გამომცემლობის გამგე

პ. ზუმბაძე.

სარედაქციო კოლეგია.

ნება დართულია მთავლიტგამის სამართ. ქუთ. განყოფილების მიერ № 422 ტირაჟი 1.2000.